სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

კ ო ნ კ უ რ ს ი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე რიცხული, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადში, მდებარე შენობის სანაშენე მუშაობისა და ხელოვნური განაყოფიერების სერვის ცენტრად გადაკეთების მიზნით (საკ.კოდი: 82.13.43.101) სარეკონსტრუქციო-სარემონტო და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე

2015 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება _____ 3

2. ტექნიკური დავალება _____ 8

3. ხელშეკრულების პროექტი _____ 9

საკონკურსო განცხადება

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე რიცხული, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადში, მდებარე შენობის (საკ.კოდი: 82.13.43.101) სარეკონსტრუქციო-სარემონტო და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

1. კონკურსის მიზანია ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული 2400 m^2 მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობისა და მასზე დამაგრებული შენობის (N1) - საერთო ფართი 430 m^2 - სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების განხორციელბისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში, გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება.

2. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- სატელეკომუნიკაციო (ინტერენტი, კომპიუტერები, ტელეფონი და ტელევიზია) ქსელები.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემები.
- გათბობის სისტემის ქსელის მოწყობა.
- კონდეციონერების მონტაჟი
- ელექტრო-ტექნიკური პროექტი.
- წყალმომარაგების პროექტი.
- შიდა და გარე კანალიზაციის პროექტი.
- კანალიზაციის სეპტიკის (გეოლოგიური ჭრილის უზრუნველყოფით) მოწყობის პროექტი.
- ვენტილიაცია, გამწოვი სისტემის მოწყობა.
- შენობის ტექნიკური სპეციფიკაცია და ორგანიზაციულ ტექნიკური დეტალები (მათ შორის, სველი წერტილები, კორიდორები, სახურავი (ახალი სახურავის მოწყობა) და სხვა ტექნოლოგიური ნაწილები) უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს და პროექტის დასრულებამდე საბოლოოდ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.
- ეზოს კეთილმოწყობისა და შეღობვის პროექტი.
- ფასადის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა – **14,000.00 (თოთხმეტიათასი)** ლარი (დ.ღ.გ-ს ჩათვლით)

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დაინტერესებული პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტები იხ. ვებგვერდზე: www.procurement.gov.ge)

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად, მაგრამ არა დალუქულ კონვერტში და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკულარი ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი
- საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთან, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით, ქართულ ენაზე და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, რომელთაც მიენიჭება უპირატესობა.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 20 მარტიდან 11 საათიდან - 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8, მე-5 სართული სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ მიიღება.

10. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ

კონკურსანტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში; ფიზიკური პირის შემთხვევაში – ცნობა საჯარო რეესტრიდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო წესით, მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში.

კონკურსანტმა წინადადების ფასში უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ხარვეზის/ნაკლის გამოსწორების ხარჯი.

12. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით.
- განმარტებითი ბარათი - გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზები.
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობის გარე იერსახის 3D ვიზუალიზაცია
- გენგეგმა – მ. 1:500
- ვიზუალიზაცია (რენდერები, ფოტომასალა)
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ (არანაკლებ ორი არქიტექტურული პროექტის ესკიზი და ფოტომასალა)
- კონკურსანტის სრული რეკვიზიტები
- ინფორმაცია პროექტისა და ხარჯთაღრიცხვა მიწოდების ვადების შესახებ.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

15. საკონკურსო კომისია მოახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ:

15.1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობითა და ამ განცხადების მოთხოვნათა დაცვით, ან არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

15.2. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო დოკუმენტს ან წარმოადგენს საკონკურსო პირობებთან შეუსაბამო საკვალიფიკაციო დოკუმენტს.

15.3. კონკურსანტი მოთხოვნილ ვადაში არ დააზუსტებს ან არ წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მოთხოვნულ დამატებით ინფორმაციას.

15.4. კონკურსანტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

15.5. კონკურსანტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

15.6. საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.2**
- **კონკურსატის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.2**
- **წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.4**
- **საბოლოო პროექტის წარმოდგენის ვადები: კოეფიციენტი – 0.2**

16.1. შეფასება განხორციელდება ათ ბალიანი სისტემით.

16.2. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მხრიდან მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

16.3. ქულათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 35 დღეში.

18. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით და ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო საექსპერტო ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული "ექსპერტის დასკვნა #006982614" (აღნიშნული დასკვნა საკონკურსო დოკუმენტაციას თან ერთვის).

20. პროექტი გამარჯვებულმა კონკურსანტის მიერ წარმოდგენლ უნდა იქნეს A3 ფორმატის ალბომის სახით 2 ეგზემპლარად+CD დისკი, ხოლო საბოლოო ვარიანტი (ექსპერტიზის გავლის შემდეგ) 5 ეგზემპლიარად + CD დისკი.

21. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენლ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვა 2 ეგზემპლიარად +CD დისკი.

22. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოს 7 მგბ.

23. გამარჯვებულმა კონკურსანტი ვალდებულია უზრუნველყოს ექსპერტიზის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

24. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

25. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: რევაზ სიჭინავა, ტელ: 595 22 22 18 ელ.ფოსტა :sichinavarevaz@gmail.com თბილისი, ჩაჩავას ქუჩა #8, მე-5 სართული.

ტექნიკური დავალება

1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე რიცხული, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადში, მდებარე შენობის (საკ.კოდი: 82.13.43.101) სარეკონსტრუქციო-სარემონტო და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- განმარტებითი ბარათი
- არქიტექტურული ანაზომი (ფასადები, გეგმები, ჭრილები)
- გენგეგმა (მასშტაბი - 1:500)
- სართულების გეგმა (მასშტაბი 1:200)
- არქიტექტურული ნაწილი (მათ შორის: გეგმა; ფასადები; ჭრილები)
- ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი
- კონსტრუქციული ნაწილი
- საინჟინრო ნაწილის (მათ შორის გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება, სანტექნიკა, წყალმომარაგება, კანალიზაციის შიდა და გარე ქსელი სეპტიკით) პროექტი.
- ელექტროტექნიკური პროექტი
- სუსტი დენების პროექტი
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
- ხარჯთაღრიცხვა

3. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ხარვეზისა და მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება.

4. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი და დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

5. პროექტირების პერიოდში, საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია _____ 2015 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი")

იურ. მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6

ფაქტ. მისამართი ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ #8

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში "მიმწოდებელი")

მცხოვრები _____

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე რიცხული, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადში, მდებარე შენობის (საკ.კოდი: 82.13.43.101) სარეკონსტრუქციო-სარემონტო და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა (კოდი:71200000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მესამე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან - არაუმეტეს 35 დღის ვადაში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

5.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

5.5. პროექტი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენლ უნდა იქნეს A3 ფორმატის ალბომის სახით 2 ეგზემპლარად+CD დისკი. ხოლო საბოლოო ვარიანტი (ექსპერტიზის გავლის შემდეგ) 5 ეგზემპლიარად + CD დისკი.

5.6 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენლ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვა 2 ეგზემპლიარად +CD დისკი.

5.7. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოს 7 მგბ.

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ექსპერტიზის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს სამეურნეო და ქონების მართვის სამმართველოს უფროსი რევაზ სიჭინავა.

8. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, და გაწეული იქნება დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398_ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულება ვადაგადაცილებით

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 აგვისტომდე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, რომლის ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	

006982614

ექსპერტის დასკვნა № 006982614

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის **მიერ განმ**ცხადებული ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **168-ე და** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი **დასკვნის**, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ **გაფრთხილებ**ული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვესტრუქტურა: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6

სახელი და გვარი: ლ. უჯმაჯურიძე

დოკუმენტის შემდგენი პირი: ლია ერაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა დმანისის რაიონის სოფელ განთიადში მდებარე (საკ. კოდი #82.13.43.101) ყოფილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის შენობას კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

შემოსვლის თარიღი: 30.10.2014წ

გასვლის თარიღი: 19.12.2014წ

დასკვნა

დმანისის რაიონის სოფელ განთიადში მდებარე (საკ. კოდი #82.13.43.101) ყოფილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული კონსტრუქციები ავარიულ მდგომარეობაშია. შენობა საჭიროებს გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული სათანადო კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოკვლევა

006982614

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა დმანისის რაიონის სოფელ განთიადში მდებარე (საკ. კოდი #82.13.43.101) ყოფილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის შენობა (ფოტო 1-2). 1961 წელს აშენებული საკვლევი შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო და განთავსებულია სწორ რელიეფზე. სადგური შედგება ორი სექციისაგან: ადმინისტრაციული კორპუსი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სათავსო ნაგებობა. ნაკვეთურები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სეისმური ნაკერით (ფოტო 3). ადმინისრტაციული კორპუსის მზიდი კონსტრუქცია წარმოდგენილია გრძივი და განივი კედლების სისტემით. მზიდი კედლები აშენებულია ბეტონის სამშენებლო ბლოკების წყობით, სისქით 40 სმ. საძირკველი სავარაუდოთ ლენტურია. გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის პანელებით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სათავსო შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კომბინირებული რკინაბეტონის ჩარჩოვანი კარკასი. გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის პანელებით. ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცნობილია, რომ თავდაპირველ შენობას ჰქონდა ბრტყელი სახურავი, რომელიც დროთა განმავლობაში დაზიანდა და მასში იყონებოდა ატმოსფერული ნალექები. 1964 წელს არსებულ ბრტყელ სახურავზე ხის კონსტრუქციების გამოყენებით მოეწყო სხვენი, რომელიც გადაიხურა ასბოცემენტის ტალღოვანი ფილებით (ფოტო 4).

ვიზუალური დათვალიერებისას შენობაში დაფიქსირდა სხვადასვა სახის დაზიანებები: შენობის პერიმეტრზე არ არის მოწყობილი შემონაკირწყლი, რის გამოც გარე კედლები გრუნტთან კონტაქტის ადგილებში დანესტიანებულია და წყობის შემავსებელი დუღაბი გამოფიტულია (ფოტო 5-10); ლოკალურ ზონებში ანაკრებ გადახურვის ფილებში დაზიანებულია და მოშლილია ბეტონის დამცავი შრე, ხოლო გაშიშვლებული არმატურები ძლიერ კოროზირებულია (ფოტო 11-16). ძლიერ დაზიანებული გადახურვის ფილები ექვემდებარებიან დემონტაჟსა და ახლის მოწყობას; რკინაბეტონის კარკასის ზოგიერთი რიგელი გაბზარულია (ფოტო 17-19); რკინაბეტონის კარკასის ელემეტებში ადგილობრივად დაზიანებულია ბეტონის დამცავი შრე და მუშა არმატურები კოროზირებულია (ფოტო 20-22); სახურავის ფენილის დაზიანებების გამო გადახურვაში ჩაედინება ატმოსფერული ნალექები. მიუხედავად იმისა, რომ სხვენის დათვალიერება ვერ მოხერხდა, ადმინისტრაციის განცხადებით ცნობილია რომ სახურავის ხის კონსტრუქციების დაახლოებით 40% დაზიანებულია და შესაცვლელია. ყოველივე ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული კონსტრუქციები ავარიულ მდგომარეობაშია. შენობა საჭიროებს გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავეული სათანადო კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ამრიგად, დმანისის რაიონის სოფელ განთიადში მდებარე (საკ. კოდი #82.13.43.101) ყოფილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული კონსტრუქციები ავარიულ მდგომარეობაშია. შენობა საჭიროებს გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული სათანადო კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტო 3



ფოტო 4

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

დანართი №1

დმანისის რაიონი, სოფელ განთიადში, №82.13.43.101 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე №1 შენობა-ნაგებობის გეგმა



საერთო ფართი 430.72 კვ.მ